

ბ ი ბ რ ს ტ ი

თბილისი. გამოცემა 1941 წ.

N14
ვაკი 50 წ.
პირვენი გამოცემა

ნის. მის. ოთაროვისა



ს კ ა ბ ი

4/111 41

ვაშისტი ფელდფეგელი: — რატომ შეაჩერე სროლა? უკვე შეტევას ვიწყებთ.


გერმანელი ჯარისპატი: — არ შემიძლიან, უკვე გამითავდა.

ფელდფეგელი: — რა, ვაზნები?

ჯარისპატი: — არა, არაყი გამითავდა.

5

312



თათრუნერი ნინასეარეგუველი ა

ფინელი ტუბები: ჩვენი მაიორი ამბობდა „ორ დღეში ლენინგრადში ვიქებითო“ და კიდეც გამართლდა მისი სიტყვები.

ჭორების ინსტრუმენტი

„გერმანიის საინფორმაციო ბიურო, ჰელმინტოს ჰელმინტოს ბიურო, და აქცენტებს ტანკის ტურ ჭორებს საბჭოთა კავშირის „შესახებ“.

ნახ. გ. ლომიძისა.

იროვნები
გიგანტის



ეს წვერბლაგვი იარაღი
წრიპინებს და არ ისვენებს,
სიბინძურებს ანთევებს მუდამ
და ჭორების ზღვას აყენებს,

ან კი რა ქნას, როს სიმართლე
მის ხელობას არ უდგება;
თვით ურემიც ხომ ჭრიალებს,
როცა ძალა დაადგება?

ფიურერის სიზმარ-ცხადი

დღის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ჩვენმა არმიამ გაანადგურა მტრის ორი დივიზია.

(საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებიდან)

რამდენიმე კვირაა, რაც ფიურერის თვალს ძილი არ ექარება. ჩათვლიმავს თუ არა, კოშმარულ სიზმრებს ნახულობს. მის მიქან-ცულ ცნობიერებას ათასგვარი ფიქრი უტრიალებს. აი ახლაც ცდილობს ძილს მისცეს მისი „არიული“ თვალები. მხედველობას მართლაც ბინდი ჰქონავს, ყველაფერი მის გარშემო ბურუსში ეხვევა, კოშმარული ფიქრები უფრო მკვეთრად, უფრო მძლევ იყყრობენ მის აზროვნებას. ფიქრებს მოჩერებები სცვლიან. მის წინ პამლეტის აჩრდილი დგება.

— ყოფნა... არ ყოფნა... — ჩასძახის მას დანის პრინცის სილუეტი.

— არ ყოფნა! არ ყოფნა! იღუპები... ქრები... — მოესმის საზარი ქარის ზუსტნა ფრთხებით მოტანილი ბგერები. მის თავში ათასგარი ფიქრი ტრიალებს: თვეზე მეტია, რაც წითლებთან ომი დაიწყო... ორ კვირაში კრემლის კედლებთან აპირებდა სურათის გადაღებას.

— წითელი მოედანი, კრემლის საათი — ყველაფერი უნდა გამოჩნდეს. — უთხრა ფოტოგრაფე.

— ადგილი სამსახურია. რა პოზაში გნებავთ?

— სწორედ იმ პოზაში, ეიფელის კოშეს წინ რომ გადავიღე.

— ბოდიში, მაგრამ ნაპოლეონის პოზა ხომ არ აჯობებს? სურათებისა და პოზების უფრო მდიდრული კოლექცია იქნება.

— ნუ ყევლობ! მზად იყავი და მოსკოვში ადგილზევე გეტივი რა პოზაც აჯობებს! — დიდი რიხით გააფრთხილა ფოტოგრაფები. მერე რა მოხდა? ოო!.. სამარცვინო იმედგაცრუება. თვეზე მეტია რაც ომი დაიწყო და კრემლის კედლებს კი არა, კრემლის ცასაც კი არავინ აკარებს.

— ოხ საძაგელი სლავიანები! ბრიტანელებზე უფრო უპურმარილო ხალხია, ამიტომ მძავს მე ისინი. მე მოვსპობ მათ, როგორც გავიძარჯვებ...

... მაინც სად არის გამარჯვება? რატომ გაგრძელდა ეს მანძილი მოსკოვამდი? საფრანგეთი ავილე — დეგოლის ჯარი მაინც ძალას იკრებს... სირიაც კი მას ჩაბარდა და ფრანგი ხალხი მის დაძახებას ელის... ინგლისი? ბრიტანეთი? მიღალატეს იქაურმა მეგობრებმა... ცუდ დროს მიღალატეს. ორ ფრონტზე მაბრძოლებენ უსირცხვილნი! ორი წელია მებრძელები და ერთ დღესაც კი არ მიბაძეს საფრანგეთის დამარცხებული ამისის გენერლებენ დანებებას. ჰებელს ვეტზვი ყველა მტრის, ვინც რუსეთს ეხმარება ბოლშევიკებად მონათლოს... ფრონტიდან. ცუდი ამბები მოდის. ჩემი ჯარები ნადგურდებიან. ჩეხები, პოლონელების, ფინების, რუმინელების არ უნდათ ჩემი სახელისათვის სიკვდილი. ღალატია ნამდვილი ღალატი. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ ბრაზი მომგვარა: „დღის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. გაგანადგურეთ მტრის ორი დივიზია...“ ჰმ!.. ირონიაც ასეთი უნდა: ერთ დღეში ორი დივიზია გამინადგურებს და „მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა“... მათთვის შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ჩემთვის... ჩემთვის... ახ, რა კოშმარული ღამეა! მომეცით ბავარიის ლუდი, შამპანის ღვინო, სლავური არაყი! იქნებ გული დავიმშვიდო.

დანის სოკოლის ძღვენი

განღიღების მანიოთ გევარობილი
გიგანტის გარე

ჭველ პარტიზანს, დენის სოკოლს ბევრჯერ ახსოვს მტრებთან
ბრძოლა, თეთრგვარდიელ მრავალ ქოფას ზურგზე ცეცხლი აუბოლა.
ეხლაც, როგორც კოლმეურნეს, შრომის ფრონტზე ცნობილ გმირსა,
ბრძოლის დროშა არასოდეს დაუხრია წუთით ძირსა.

№-ის ოლქი მომხდეულ ძალებს დროებით რომ დარჩათ ხელში,
დენისმა მყის ხანძრის ალი გახალა თვის სოფელში.
— „აბა, მარჯვედ, — შესძახოდა ის პარტიზანს ვაჟკაცებსა, —
რაც აქ გვრჩება, მტერს არ მივცეთ, დე მის ნაცვლად დარჩეს
ცეცხლსა“.

და დღე ისე როგორ გავა, როგორ მოვა ისე ღამე,
თუ პარტიზან მებრძოლებმა მტერს ბედი არ გაუშავეს?
აქ რკნიგზის ლიანდაგის უცხად ხაზი აიყრება
და უფსკრულში გადეშვება, მატარებლის გრძელი წყება.

იქ ფაშისტთა ბანაკსა და აღალს — ხანძრის შეპრატს რგოლი,
ფერ, სხეაგან მტრის „უძლეველ“ ლაშქარს ასდის ზურგზე ბოლი.
ერთის სიტყვით, შემოჭრილ მტერს დაეხლართა ყველგან გზანი:
წინ წითელი არმია სცემს, ზურგში კიდევ პარტიზანი.

და დენისის ხელოვნება, ამ ბრძოლაში გაგანცვითრებთ,
ათას მარჯვე ხერხს მიმართავს, ათას ოინს მოიფიქრებს.
აი, დენის გამოვიდა ხელკალათით დატვირთული,
მიდის რაღა, ვითომ დინჯად, როულ ფიქრებში ლრმად გართული.

კალათი ხელყუმბარებით სულ პირამდე არის სავსე
ნიღაბად კი — მას ზემოდან თეთრი პური აძევს თავზე.
გრძის ჯიქურ, ფაშისტების სადაც მოზრდილ ბანაკს სძინავს,
— ეი, „ვინ ხარ“. ესმის უცხად და ცხრა კაცი ხვდება წინა.

— მე გლეხი ვარ, ამ სოფლელი — მიუგებს მათ დენის, — პოლა,
შოუცი ვარ, ავადმყოფი, მე გაქცევა რაღ მინდოლა?
მე პირიქით, ეს მცირედი ძლვენიც მსურდა მომეტანა,
სტუმრებისთვის მასპინძლობა, ვალად რომ გვდევს, არ ვგრძნობ ვანა?

აი თეთრი პურის ყუა, მის ქვეშ — ბევრი ტკბილის კვერი,
ზრუნვით ნამცხვარ-ნახელავი, თქვენთან მომაქვს ყველაფერი.
თეთრი პურის დანახვაზე დორბლი მოსდით ფაშისტ ტურებს.
და კალათის წასართმევად ყველა ხელებს აფათურებს.

— აბა, ასე რა წესია, — ეუბნება დენის დინჯად, —
შიმიყვანეთ თქვენს უფროსთან ის მიიღებს და გასინჯავს...
შიმიყვან მართლაც. და როდესაც სარდალს ხედავს, ხედავს ბანაკს,
მჭიდროდ ჩამდგარ ტანკების მწკრივს, და საჭურველს გადანალავს,

ის ხელკალათს მომარჯვებს და სახერხო ადგილს დგება,
დიახ, აი, მცირე ძლვენი მოგართვითო ეუბნება.
„აი, ეს თქვენ, ეს თქვენ, ეს თქვენ“. და დენისმა უეცარად,
ფაშისტებს ხელყუმბარები სეტყვასავით დააყარა.

და როდესაც ხედავს დენის მიმობნეულ მტრების ბურდის,
მან არ უკვირს, მან პირიქით, მაღიანად შეუკურთხა:
— „ეს, ძალებო, საუზმეა, სადილს კიდევ მოგიმზადებთ,
ფიდრე მიწით არ გაგაძლობთ, ყველა მომხდურ არამზადებს“.

და გასწია, რომ აცნობოს თავის მამაც მეგობრებსა,
თუ რა კერძი მოუმზადონ სადილისთვის — მომხდეულ მგლებსა.
რომ თავისი ვაჟკაცობით მხარში უდგნენ წითელ ლაშქარს,
მასთან ერთად, გულშიაც და ზურგშიც სცემდენ ბილწ მტერს —
ლაშქარს.



ანუ ფორჩა
ღა



შინაარსი



ერთი მოღაყის შესახებ

ესტატე შუშუძე მთელ თავისუფალ საათებს მეზობლებში და ჭუჩაში ჩურჩულს და ლაყბობას ანდომებდა. ჭერ კადევ მშვიდობიანობის ღროსაც არ უყვარდა ესტატეს რამე მოვლენის შესახებ შეუშფოთებელი საუბარი. ისეთ უხიფათო და ჩვეულებრივ შემთხვევისაც კი, როგორიცაა, კოსტენი, თეატრში წასვლა, იგი ასეთი სიღლუმლი ტონით გადასცემდა თავის მეზობელ მათეს.

— მათეს გაუმარჯოს, — იტყოდა ესტატე და ჩურჩულით კითხავდა: — კაცო შენ ამ ცოტა ხანში თეატრში ხომ არ ყოფილხარ!

— არა, არ გყოლებულვარ... რატომ მეკითხები, ცუდი ხომ არაფერი მომხდარა? — შეშინდებოდა მათე.

— მაინც რამდენი ხანია არ ყოფილხარ!? — კვლავ საიდუმლო ტონით კითხავდა ესტატე.

— ერთი თვეა არ ვყოფილვარ. თუ ძმა ხარ, ჩქარა მითხარი, ცუდი ხომ არაფერი გაგიგია!

— რამხელას ყვირი კაცო, ქვეყანას კი არ მინდა გავაგებინო, — გაუჯავრდებოდა ესტატე მეზობელს და თუ დაინახავდა ვინმეს, რომელიც ყურს უგდებდა მათ საუბარს, შეუყვირებდა: — რას გაჩერებულხარ ბიძიკო, მაიმუნების თამაში ხომ არ არის?!.. წამოდი აქეთ მათე... პო, იმას გეუბნებოდი. მაშ, შენ ერთი თვეა თეატრში არ ყოფილხარ?

— არ ვყოფილვარ, შე ოჯახდასაქცევო, მითხარი რა მოხდა!

— რა მოგივიდა ბიჭი, კაცის ფერი აღარ გაქვს... საშიში კი არა-ფერი მომხდარა... მე ვიყავი წუხელ თეატრში და მეინტერესებოდა შენც თუ იყავი.

გაჯავრებული მათე სწრაფად გასცილდებოდა ენაჭარტალა მეზობელს.

ესტატეს მსგავსი საუბრით ბევრჯერ დაუფრთხია ნაციონალისტები.

— ახალი ამბავი გაიგეთ? — იკითხავდა ესტატე.

— არა.

— არც მე გამიგია, მაგრამ ფაქტი კაა, რომ ვერ არის საქმე კარგი.

პირსისხლიანი მტრის თვედასხმისა და ომის დაწყების შემდეგ ესტატემ მთელი მაშტაბით მოუშვა გუდა. მისი საუბრის შინაარსი მუდამ ერთიდაგივე იყო:

— „წუხელ ამბობდნენ, რომ... ვილაც ლაპარაკობდა, რომ... ქუჩაში გაეგონე, რომ... ისეთი რამ გავიგე, რომ...“

ცრუ და გადაჭარბებული ხმის გავრცელებით ესტატე ზოგიერთ გულუბრყვილო მოქალაქეებში პანიკას ჰქმნიდა.

პირველყოვლისა, ესტატემ ცოლს უბრძანა:

— ჩქარა გაახმეთ სამიოდე ფუტი პური, მოიმარავეთ შაქარი, ბრინჯი, მარილი...

ესტატემ, ასე გასინჯეთ, მწვანილის მომარავებაც იწყო და ძალიან ნაღვლობდა, რომ ვერ მოახერხა ნაყინის მომარავება.

— ეს ოხერი ასი ცალი ესკიმო ჩავაწყე, მაგრამ მეორე დილით ნაყინის მაგიერ თეთრი სითხე დამხვდა... ხანდახან პირს მაინც გაიგრილებდა კაცი, ვინ იცის რამდენხანს გავრძელდება ომი!

დიდხანს აღარ აცალეს ესტატე შუშუძეს ენაჭარტალობა და პანიკის გავრცელება. მეზობლებმა შეატყობინეს სათანადო ორგანოებს მისი ლაყბობის შესახებ და ყბედ ესტატეს სათანადო აღვილას მიუჩინეს სათანადო აღვილი.

მუსოლინის გოდანა

გერმანიაშ რუმინეთის საზღვარზე ფრონტის გასამაგრებლად 2—3 დიციზია
მოსთხოვა იტალიას.

სასწარი მანაველი

ნახ. გ. ლომინიძე

გაჭიოდა ვით ტურა
სევდა შემოწოლილი,
რტალის „მესია“ —
ვერაგი მუსოლინი.

ჰიტლერის მზეს ფიცავდა
ულფაშით, და წვერითა,
და მის ცენთა ნატერფალს
ლოკდა ენის წვერითა.

ცემით ბევრჯერ ზურგშედა
ადგია ბოლია,
(მუდმივ დამარცხებაში
აბა ვინ ყავს ტოლია!)

გვერდებშემოლეჭილი
მაიც დაკინკილობდა,
„ფიურერის“ სამოდ
რაინდობას ცდილობდა.

დავალებაც მიიღო:
მოგვაშველე ჯარია,
გააგზავნეთ რუმინეთს,
შეჰქარით საზღვარიო.

არ გაშედო უარი
ამ უკულმართ დროშიო,
თორებ წაგაჩინდრიკებ
ვირის აბანშიო!

თან დაპირდა: „საპჭოეთს
მოესპობთ ორ-სამ დღეშიო,
იმდენ ნადავლს მიიღებ
გეყოს სიცოცხლეშიო!“

აკნავლდა მუსოლინი,
ღონე შემოლეული,
სად მონახოს მებრძოლნი?
კენესის გულამღვრეული.

ორ ცეცხლშუა ტრიალებს
იტალიის „გენია“,
„ფიურერის“ სამოდ
სად მონახოს ძღვენია?

სევდით გასცემს მიდამოს
შერცხვენილი სახელით,
და ქარს მიაქვს ამა
მოწოდება, ძახილი...

(გაზეთებიდან)



მზონავი — თქვენ იწონით ორმოცდაათ
კოლოს.

ვაშისტი ღუციცერი — მაშასადამე ჩემი
მარცხენა ფეხი, მარჯვენა ხელი და მარცხენა
ხელის ორი თითი ბოლშევიკებთან ომის
დაწყებამდე რცდაათ კილოს იწონიდნენ...

„მამა ბები“

გერმანელმა ფაშისტებმა აღმოსავლეთის ფრონტზე გადაყვანის მიზნით რკუპირებულ ქვეყნებიდან და
შვეიცარიის საზღვრებიდან მოხსნეს ჯარისაცები და მათ ნაცვლად ინვალიდები დააყენეს.



გერმანელი ჯარისაცები — ნაბიჯით, იარ! აგრე! სწორება მარჯვნივ! ყოჩალ, მე მწამს, რომ თქვენი გმირობით და ვაჟაცობით
ასახელებთ ფიურერის არმიას.



მუდამ მავნედ ითვლებოდა
მოლაყბე და უსაქმური,
არაოდეს არ გვმართებდა
ჩვენ იმათოვის გვეგდო, ყური;
მით უმეტეს ეხლა, როცა
ულმობელი ომი არი,
მოლაყბე და მოჩურჩულე
გახდნენ გველზეც საჭიშლარი.

ცირა იჯდა ჭაღრის ძირას,
მიეახლა ვაერ ცირას,
უთხრა: „გეტიკო მე იცი რას?
ბრძოლის ველად მე დღეს მივქრი,
თან მიმყვება შენზე ფიქრი!“

— „მტრის წინ—სთქვი—ქედს არ მოიხრი?“

— „უწინამც კი მოვკვდე ბარებ,
თუ ვერ ვარგო მშობელ მხარეს,
თუ ვერ ველიტო ჩვენი მტრები,
საზიზლარი ფაშისტები.
რომ მოუნდათ ჩვენი პური,
უნდა მივცხოთ მათ პანლური.
ბრძოლის ველი არ მაშინებს,
მე ჯაბანი არა, არ ვარ,
მაგრამ შენ ნუ მაწყენინებ,
შენ მითხარი თუ გიყვარვარ?“

— „დაიცადე, ჯერ მითხარი:
შენ გიცდა ლონე-ძალი? —
საბჭოთა მუხანათ მტრებს
უგემნიათ შენი ხმალი?
ბტერს უგრძნია შენი რისხვა
მდგარხარ მის წინ, როგორც კავი?
მე არ მიყვარს არავინ სხვა,
მე მამაცი მიყვარს ვაუი“. —

— „თეთო ფინელებს ახსოვთ ჩემი
შავარდენის მსგავსი ფრენა.
არა ერთგზის ტარილ-გლოვად
შევუცვალე იმათ ლხენა...
მაგრამ მითხარ, შენ გიყვარვარ?!
აღარ ძალმის მეტი თმენა. —

— „თუ ასეა, შენ ყოფილხარ
ჩემი ტოლი, ჩემი ფარდი.
მხოლოდ ულიტე ფაშისტები,
სხვა ნურაფრის ნუ გაქვს დარდი.
ვერ ვამბობდი, თორებ გულში
მეც მომწონდი, მეც მიყვარდი!“


— „სამართლიან საქმისათვის
ბრძოლით მთა-ველს გადავლახავ,
გამამნენვებს შენი ტრფობა,
საიდუმლოდ რომ ვინახავ.
სამშობლოსთვის! სტალინისთვის!
მე ვაბრძოლებ უშიშარად,
საბჭოთა პატრიოტად
მე დავრჩები გწამდეს მარად!
ვფიცავ, თვის ბედს შეინანებს
ის წუპაკი „არიელი“. —
შენ იყავი ჩემი ნესტან,
მე ვიქნები ტარიელი!“

— „შენ ბრძოლაში მედგრად იყავ,
მარჯვედ გეპრას ხმალი ხელში,
და როდესაც დაბრუნდები
ვალმოხდილი ჩვენს სიფელში,
ჩვენი შეყრა და ქორწილი
ყველა კეთილს გაახარებს,
მერე კი... ნორჩ მოქალაქეს
ჩვენ მივუძლვნით მშობელ მხარეს“. —

ჰოლანდიაში გერმანელ ფაშისტების შესვლის შემდეგ 60% ლო-
რებისა უკვე დაკლულია.

ფაშისტების დაკლულია

ბიბლიოთის



— ეჭ, ისეთი დრო დადგა, რომ ჩვენში ძმა ძმასაც აღარ ინდობს.

— ?

— განა ვერა ჰერდავ გერმანელი ფაშისტები რა დღეს გვაყენებენ.

ერთი სიმართლე ფაშისტი კორესაონდენისა

ნახ. რ. გორდელაძისა



ცოლი: დაწეკი პაულ, რას იყურები ამ-
დენხანს სარკეში?

შმარი: ვუყურებ ჩემს თავს და მიკვირს,
რამდენი სიცრუის წერა შემძლებია.

„მ ხ ს ხ ი ლ ი“

გერმანელი ფაშისტი ჰოლანდიელ გლეხის
თავლაში შევიდა და დაბმული ღორი ახსნა.

— რატომ ხსნით, პერ, — მიმართა

გლეხმა, — ეგ მე მესაჭიროება.

— სულელო, — მიუგო ფაშისტმა, — მსო
ფლიოს ბედი ზურგზე მაწევს, ქვაყანა უნდა
დავისნა და შენ ღორის წაყვანაზე მეღავები?

მეორე დღეს ფაშისტმა დაბმული ძროხა
მოხსნა იმავე გლეხის თავლაში და გაბრაზე-
ბულ ჰოლანდიელის უკმაყოფილებას ასე
უპასუხა:

— შეუშვი მაგ თავში, რომ ქვეყანა უნდა
ვისნა.

მესამე დღეს იმავე ფაშისტმა ხარი ახსნა
იმავე თავლაში. თავლის პატრონმა უბრა-
ლოდ ჰეითხა ფაშისტს:

— პერ, პირუტყვების ხსნა თუ გქონდა
განზრახული, ქვეყნის ხსნას რაღას იგო-
ნებდი, რა საჭირო იყო!

შირიმელი


სარეალისტი კოლეგია

რედაქციის მისამართი უორესის ქ. № 5


ნახ. ს. ნადარეიშვილისა




1. ამ პოზაში იგი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორად გამოიყურებოდა.




2. აქ გამობრძმედილ აგიტატორად სჩინდა.



3. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ იგი ჩვეულებრივი შოფერია.



4. ფაქტიურად კი აი, ვინ ყოფილა.



5. მომავალში მან ყვავილების მოვლაზე უნდა იზრუნოს.